ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №557950

ნომერი: AR1110244

თარიღი : 18.02.2013

გაცემის თარიღი : 22.02.2013

გაცნობის თარიღი : 22.02.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლეონიძე (ყოფ. კიროვი), N 2/გ.ტაბიძე N1 , (ნაკვეთი N74/13) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ეკატერინე მაქაცარია პ/ნ 19001053838
- ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, ლეონიძის ქ. N2

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ”ბ” ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ”ა” ქვეპუნქტის შესაბამისად განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, ლეონიძის ქ. #2/ტაბიძის ქ. #1–ში არსებულ შენობაზე სარეკლამო აბრის მოწყობის საკითხს, განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებულ სამეცნიერო- მეთოდურ საბჭოს, რომლის დასკვნის საფუძველზეც მოქ. ეკატერინე მაქაცარიას უარი ეთქვა წარმოდგენილ საპროექტო წინადადებას რეკომენდაციით: "შემცირდეს სარეკლამო აბრის ზომები". სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და

მიზანშეწონილად მიიჩნია რომ განმცხადებელს, მოქ. ეკატერინე მაქაცარიას უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქ. ეკატერინე მაქაცარიას წარმოდგენილი პროექტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.